POTI NEW TERMINALS

№10520
22.05.2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სს „ფოთის ახალი ტერმინალების კორპორაცია“ (PNTC) გეგმავს ქ. ფოთში ახალ ღრმაწყლოვან მრავალფუნქციურ თანამედროვე ნავსადგურში ახალი ნაყარი ტვირთების ტერმინალის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს.

დაგეგმილი პროექტი საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართით გათვალისწინებული საქმიანობების ნუსხას მიეკუთვნება:

1. საზღვაო ნავსადგურისა და მასთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომლის საპროექტო განაშენიანების ფართობი 1 ჰექტარზე მეტია (დანართი II, პუნქტი 9.5).

II დანართით გათვალისწინებული საქმიანობები ითხოვს სკრინინგის ანგარიშის წარდგენას. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ფოთის ახალი ტერმინალი გათვლილია პანამაქსის და პოსტპანამაქსის ტიპის გემების მიღებაზე, რაც მკვეთრად გაზრდის ნაყარი ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებს, გადაწყდა ფოთის ახალი ღრმაწყლოვანი ტერმინალის ტერიტორიაზე ნაყარი ტვირთების ტერმინალის პროექტისათვის პირდაპირ მომზადებულიყო სკოპინგის ანგარიში.
აღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით პროექტის ფარგლებში მომზადებულ სკოპინგის ანგარიშს.

განცხადებას თან ერთვის:

1. ქ. ფოთში ახალ ღრმაწყლოვან მრავალფუნქციურ თანამედროვე ნავსადგურში ახალი ნაყარი ტვირთების ტერმინალის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიში - „1“ (ერთი) წიგნი, (87 გვერდი);
2. სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია - CD დისკზე;
3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) - CD დისკზე.

პატივისცემით,

გრიგოლ ბოლქვაძე
დირექტორი

Poti New Terminal Corporation
116, Tsereteli Avenue, 0119 Tbilisi, Georgia.
Tel: +995595 23 37 99
Email: info@pnt.ge
www.pntc.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 7670
"22" 05 2020
1/100 ფ.
02